
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ახალი გზადმშენი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ახალი გზადმშენი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებელი ორგანოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საწარმოს იურიდიული ისევე როგორც ფაქტობრივი მისამართი არის საქართველო, ქთბილისი, ალ.ყიფშიძის #1. კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. თბილისი

შპს ახალი გზადმშენი დაფუძნებულია ფიზიკური პირის გიორგი წიკლაურის მიერ (100%)

საწარმოს საქმიანობაა, სამშენებლო მანქანების და მოწყობილობების იჯარა ოპერატორთან ერთად და ასევე სამშენებლო მასალებით ვაჭრობა

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2024 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 1 სექტემბერს.

“შპს ახალი გზადმშენი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1	130,771	88,117
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	836,476	221,509
მარაგები	3	110,699	13,618
საგადასახადო აქტივები		15,845	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-	429,721
		1,093,791	752,965
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,076,517	2,576,927
		3,076,517	2,576,927
მთლიანი აქტივები		4,170,308	3,329,892
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	190,656	121,275
საგადასახადო ვალდებულებები		8,456	-
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	6	658,838	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	17,237
		857,950	138,512
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	6	2,207,334	2,014,232
		2,207,334	2,014,232
მთლიანი ვალდებულებები		3,065,284	2,152,744
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,105,024	1,177,148
		1,105,024	1,177,148
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,170,308	3,329,892



“შპს ახალი გზადმშენი”

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	7	1,466,650	1,588,828
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(250,994)	(272,719)
საერთო მოგება		1,215,656	1,316,109
მიწოდების დანახარჯები	8	(85)	(759)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(942,303)	(864,929)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(331,483)	(124,903)
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან		(13,909)	(1,991)
საოპერაციო მოგება		(72,124)	323,527
მოგება დაბეგვრამდე		(72,124)	323,527
მოგების გადასახადი		-	(1,858)
პერიოდის მოგება		(72,124)	321,670

დირექტორი: გიორგი წიკლაური



საადრიცხო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების აკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში და საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშთებისგან

შენიშვნა 1

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	12/31/2024	12/31/2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1,030	3,414
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	129,740	84,703
სულ	130,771	88,117

2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად, მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. გარკვეული პერიოდულობით გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი.

ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშევა. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული გაუფასურების რეზერვის ანგარიშზე.

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო მოთხოვნები	832,776	221,509
გაცემული სესხები	3,700	-
სულ	836,476	221,509

3. მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს კომპანიის მფლობელობაში არსებული „სპეც-ტექნიკის“ მოვლა-შენახვის, სათადარიგო ნაწილების, საწვავის, ასევე სავაჭროდ გამზადებული სამშენებლო მასალების ღირებულებებს.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

შენიშვნა 3

მარაგები

	12/31/2024	12/31/2023
სათადარიგო ნაწილები	16,629	6,272
სხვა მარაგები	94,070	7,346
სულ	110,699	13,618

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასს დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით და ყველა იმ ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელია სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება იმ პერიოდიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში შეყვანა. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ხოლო მათი გამოყენების საშუალო ვადაა 10 წელი

აქტივის შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და ჩაითვლება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა საჭიროების შემთხვევაში ექვემდებარება კორექტირებას.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისებისას, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა შესაძლებელი.

აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება თუ ზარალი აღირიცხება სხვა არასაოპერაციო შემოსავლებში/ხარჯებში, იმ პერიოდის შესაბამისად, როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

შენიშვნა: 4

ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მინის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები
31 დეკემბერი 2023	154,465	46,075	93,545	8,143	10,785	2,605,199
შემოსვლა	129,465	-	4,360	-	-	723,682
გასვლა	-	-	-	-	-	(273,141)
31 დეკემბერი 2024	283,930	46,075	97,906	8,143	10,785	3,055,739

ცვეთა და გაუფასურება

31 დეკემბერი 2023	-	(9,364)	(31,216)	(5,843)	(7,673)	(287,189)
პერიოდის ცვეთა	-	(2,547)	(8,670)	(583)	(852)	(182,144)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	110,020
31 დეკემბერი 2024	-	(11,912)	(39,885)	(6,426)	(8,525)	(359,312)

ნეტო საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2023	154,465	36,711	62,330	2,300	3,111	2,318,010
31 დეკემბერი 2024	283,930	34,164	58,020	1,717	2,259	2,696,427

5. სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მაშინ, როდესაც საქონელზე (მომსახურებაზე) ყველა რისკი და სარგებელი გადმოდის ჩვენი, როგორც მყიდველი კომპანიის მხარეს. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო ვალდებულებები	15,656	121,275
მიღებული ავანსები	175,000	-
სულ	190,656	121,275

6. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით სესხის გრაფიკის შესაბამისად.

ჯგუფის გრძელვადიან სესხებს წარმოადგენს ბანკებისგან მიღებული სესხები, რომლებიც დენომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთი ლარში დენომინირებულ სესხებზე შეადგენს წლიურ 11.5%-დან 14.857%-მდე. სესხების დაფარვის ვადა მერყეობს 2028 წლის აპრილიდან 2031 წლის მაისის ჩათვლით. სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით და კომპანიის არსებული მიწის ნაკვეთით.

შენიშვნა 6

მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტი

მოკლევადიანი სესხები	12/31/2024	12/31/2023
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	389,129	-
გადასახდელი პროცენტი	269,709	-
სულ მოკლევადიანი სესხები	658,838	-

გრძელვადიანი სესხები	12/31/2024	12/31/2023
გრძელვადიანი სესხები	2,207,334	2,014,232
სულ გრძელვადიანი სესხები	2,207,334	2,014,232

სულ სესხები	2,866,172	2,014,232
-------------	-----------	-----------

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები: • კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის (მომსახურების) ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი. • კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული და ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე. • შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა. • მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. • შესაძლებელია ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების სარწმუნოდ გაზომვა.

ხარჯების აღიარება ხდება ასევე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა და ვალდებულებების ზრდასთან, რისი საიმედო შეფასებაც შესაძლებელია.

შენიშვნა 7

ამონაგები

	2024 წელი	2023 წელი
მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	1,450,345	1,583,727
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	16,305	5,101
სულ	1,466,650	1,588,828

შენიშვნა 8

მინოდების ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ტრანსპორტირების ხარჯი	-	-
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯი	(85)	(759)
მინოდების სხვა ხარჯები	-	-
სულ	(85)	(759)

შენიშვნა 9

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024 წელი	2023 წელი
შრომის ანაზღაურება	(620,040)	(601,227)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(194,795)	(147,814)
ქონების გადასახადის ხარჯი	(26,950)	(16,545)
მივლინების ხარჯი	-	(3,758)
საბანკო ხარჯი	(1,912)	(6,256)
დაზღვევის ხარჯი	(6,641)	(3,971)
კომუნიკაციის ხარჯი	(4,794)	(4,578)
ძირითადი საშუალებების რემონტი	(25,385)	(55,948)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(61,786)	(24,832)
სულ	(942,303)	(864,929)

შენიშვნა 10

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 60,000 ლარის დივიდენდი.

2024 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე პერიოდში კომპანიის მიერ მოხდა ძირითადი საშუალებების შეძენა (სატრანსპორტი საშუალებების 199139 ლარის).

შენიშვნა 11

წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2025 წელს, საწარმომ აღმოაჩინა, რომ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამორჩენილი იყო ერთ-ერთ ძირითად საშუალებაზე ცვეთის დარიცხვა. აღნიშნული შეცდომების გასწორება აღირიცხა რეტროსპექტულად და 2023 წლის შესადარისი ინფორმაცია გადანაგარიშდა. ამ ძირითად საშუალებაზე ცვეთის დარიცხვამ გამოიწვია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ცვეთის ხარჯის ზრდა 4501 ლარით და შეადგინა 143313 ლარის ნაცვლად 147814 ლარი. ამასთან ერთად ცვეთის ხარჯის ზრდამ გამოიწვია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების შემცირება და ადმინისტრაციული ხარჯების ზრდა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აგრეთვე, მოგების გადასახადის ხარჯი, 1857 ლარი, შეცდომით, არასწორად მოხვდა ადმინისტრაციულ ხარჯებში და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსში ასევე შეცდომით იყო ჩაწერილი მოკლევადიანი აქტივების ჯამური თანხა. ყოველივე ზემოაღნიშნულის ცვლილების შედეგად 2023 წლის შესადარისი ინფორმაცია შეიცვალა და ჩაიწერა სწორი მონაცემები. ამგვარად, ადმინისტრაციული ხარჯები გაიზარდა 4501 ლარით, შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის გაუნაწილებელი მოგების თანხა შემცირდა 4501 ლარით. რაც ასევე შესწორებულია მიმდინარე პერიოდში.

დირექტორი: გიორგი წიკლაური

